

# GrCF2 W1 – Tbilisi Metro Project

## თბილისის მეტროს პროექტი

ქვეყანა: საქართველო:

პროექტის ნომერი 51392

სექტორი: ინფრასტრუქტურა - ევრაზია

შეტყობინების ტიპი: სახელმწიფო

გარემოსდაცვითი კატეგორია: B

საბჭოზე განხილვის თარიღი: 23 აპრილი 2020

სტატუსი: კონცეპტუალური განხილვა

პროექტის მოკლე ანოტაცია

PSD -ის გამოქვეყნების თარიღი: 17 თებერვალი 2020

### პროექტის აღწერა

საქართველოსთვის გამოყოფილი 75 მილიონი ევროს ოდენობის სესხი (ორ ტრანშად), დაფინანსდება EBRD-ისა და კლიმატის მწვანე ფონდის ("GCF") მიერ. კრედიტის გადასახება მოხდება ქალაქ თბილისს მუნიციპალიტეტისთვის და მოხმარდება შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის („კომპანია“) საჭიროებებს, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალურ კომპანიას და რომლის მართვაშია ავტობუსები, მეტროპოლიტენი და საბაგირო გზები თბილისში.

### პროექტის მიზნები

ინვესტიცია ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი ტრანსპორტის სანდოობის, უსაფრთხოების და ეფექტიანობის გაუმჯობესებას კომპანიისთვის დაახლოებით 40 თანამედროვე მეტროს ვაგონის (მატარებლების 10 შემადგენლობა) შექმნის გზით, იმისათვის, რომ კომპანიამ არსებული, მოძველებული, მოძრავი შემადგენლობა გამოცვალოს. პროექტი აგრეთვე ითვალისწინებს მეტროს დეპოსა და გვირაბის რეაბილიტაციას.

პროექტი ფართო პროგრამის ნაწილია, რომლის მიზანია დაეხმაროს ქალაქს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვის რეფორმირებაში, ავტობუსისა და მეტროს სისტემების განახლებისა და ქსელის რესტრუქტურისა და დაფინანსებით.

### გარდაქმნის ეფექტი

გარემოსდაცვითი გარდაქმნის ეფექტი ETI 70

ETI ქულა = 70

აღნიშნული პროექტი არის მწვანე ქალაქები 2-ს ნაწილი ("GrCF2") და თბილისის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის შემდგომი ინვესტიცია ("GCAP").

GrCF2-ს ძირითადი მიზანია გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და შესაბამის ქალაქებში გარდაქმნის ეფექტის მახასიათებლის „მწვანე ეკონომიკის“ უზრუნველყოფა. GrCF2 ასევე მიზნად ისახავს საჭირო შესაძლებლობების განვითარებას, და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის უკეთესი კოორდინაციის და თანამშრომლობის

ხელშეწყობას, მიზნობრივი ინვესტიციებისა და ინიციატივების მართვის, საექსპლუატაციო ეფექტურობის და ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესების მიზნით. GrCF2- ის ფარგლებში, EBRD კიდევ უფრო მეტ ყურადღებას გაამახვილებს GCAP-ის განხორციელებაზე, ამასთან, არსებობს მოლოდინი, რომ ყველა სუბ-ინვესტიციის მინიმუმ ნახევარი წარმართული იქნება GCAP-ის მიერ გამოვლენილი მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრაზე. ბანკი ასევე ეცდება შეიმუშაოს უფრო ქმედითი პოლიტიკური რეკომენდაციები მიღებული გამოცდილების, მიზნობრივი კვლევებისა და გაწეული ტექნიკური დახმარების გათვალისწინებით. გარდაქმნის საერთო ეფექტი გამომდინარეობს „მწვანე ეკონომიკის“ და „მართვის მაღალი ხარისხის“ მახასიათებლებისაგან.

პროექტი ხელს შეუწყობს გარდაქმნის ეფექტის „მწვანე ეკონომიკის“ მახასიათებლის გაუმჯობესებას ქალაქის სატრანსპორტო სექტორის გარემოზე ზეგავლენის შემცირებით, რაც შესაძლებელია საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემებზე გადასვლის წახალისების გზით.

## **ინფორმაცია კლიენტის შესახებ**

საქართველოს მთავრობა

საქართველოს წარმომადგენს ფინანსთა სამინისტრო. პროექტს განახორციელებს თბილისის მერია და სატრანსპორტო კომპანია

## **ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსება**

65 000 000.00 ევრო

65 მილიონი ევროს ოდენობის სესხი საქართველოსთვის (ორ ტრანშად).

## **პროექტის მთლიანი ღირებულება**

75 000 000.00 ევრო

პროექტის მთლიანი ღირებულება 75 მილიონ ევროს შეადგენს.

პროექტი ასევე ისარგებლებს ტექნიკური თანამშრომლობის დავალებებით პროექტის მომზადებისა და განხორციელების მხარდასაჭერად.

## **გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხები**

კატეგორია B (2014 წელს დამტკიცებული „გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის“ მიხედვით).

გასათვალისწინებელია ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება / რისკები: EHS მართვის საერთო შესრულება, შრომის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პრაქტიკა და სტანდარტები.

გარემოს დაცვით და სოციალურ კვლევას ("ESDD") განახორციელებს დამოუკიდებელი კონსულტანტი. კვლევა მოიცავს ვიზიტს, კლიენტის ამჟამინდელი მართვის სისტემების დათვალიერებას, ობიექტებისა და ოპერაციების შესწავლას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა არსებულ სარემონტო და ტექნიკურ დეპოს, შრომით პრაქტიკას, საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნას, მაღალი რისკის სამუშაოებს და მიწოდების ქსელის მენეჯმენტს. მოხდება შემოთავაზებული სარკინიგზო მანქანების შეფასება უსაფრთხოებისა და ემისიის საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დასადგენად.

წინამდებარე პროექტის მოკლე ანოტაცია PSD განახლდება ESDD- ის დასრულების შემდეგ

## ტექნიკური თანამშრომლობა

პროექტის შემადგენლობაში შედის შემდეგი ტექნიკური თანამშრომლობის ("TC") დავალებები:

- **ტექნიკურ ეკონომიკური შესწავლა.** დავალების სავარაუდო ღირებულებაა დაახლოებით 70,000 ევრო. დაფინანსების სავარაუდო წყარო: საერთაშორისო დონორი, კლიმატის მწვანე ფონდი ("GCF") ან ევრობანკის აქციონერთა სპეციალური ფონდი („SSF“).
- **პროექტის განხორციელების მხარდაჭერა.** დავალების სავარაუდო ღირებულებაა 275,000 ევრო. დაფინანსების სავარაუდო წყარო: საერთაშორისო დონორი, კლიმატის მწვანე ფონდი ("GCF") ან ევრობანკის აქციონერთა სპეციალური ფონდი („SSF“).

## დამატებითი ფასეულობა

პროექტი დაეხმარება ქალაქს გადადგას კიდევ ერთი ნაბიჯი GCAP–ის განხორციელებისა და მდგრადი განვითარების სხვა ინიციატივებისა და პროგრამების წინაშე აღებული ვალდებულებების შესასრულებლად.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი გთავაზობთ ისეთ დაფინანსებას, რომელიც ბაზარზე არ არის ხელმისაწვდომი კომერციული წყაროებიდან გონივრული ვადებითა და პირობებით. უფრო მეტიც, EBRD- ის ექსპერტიზა სექტორში ხელს შეუწყობს გაუმჯობესებული სტანდარტების გამოყენებას.

## კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

გვანცა პირპირაშვილი

[GPirpirashvili@metro.ge](mailto:GPirpirashvili@metro.ge)

+995577082151

<http://ttc.com.ge/>

თბილისის სატრანსპორტო კომპანია

ვაგზლის მოედანი N 2, 0112 თბილისი, საქართველო

## ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი

ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტის გაზომვასთან დაკავშირებით EBRD-ის მიდგომაზე დეტალური ინფორმაციის გაცნობა შესაძლებელია [აქ](#).

## ბიზნეს შესაძლებლობები

ბიზნეს შესაძლებლობებისა და შესყიდვების თაობაზე, გთხოვთ, დაუკავშირდეთ კლიენტ კომპანიას.

EBRD-ის პროექტთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაციის მისაღებად, რაც არ ეხება შესყიდვებს, გთხოვთ, ისარგებლოთ შემდეგი საკონტაქტო ინფორმაციით: +44 20 7338 7168 ან

ელ-ფოსტა: [projectenquiries@ebrd.com](mailto:projectenquiries@ebrd.com)

სახელმწიფო სექტორის პროექტებზე ინფორმაციისათვის დაუკავშირდით [EBRD-ის შესყიდვების დეპარტამენტს](#): +44 20 7338 6794

ელ-ფოსტა: [procurement@ebrd.com](mailto:procurement@ebrd.com)

## ზოგადი საკითხები

სხვა საკითხებთან დაკავშირებით კონკრეტული შეკითხვების დასმა შესაძლებელია [EBRD-ის მოთხოვნების ფორმის](#) საშუალებით.

## გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (ESP)

ESP-ით და შესაბამისი შესრულების მოთხოვნებით (PR) განსაზღვრულია EBRD-ის მიერ „გარემოსთვის უსაფრთხო და მდგრადი განვითარების“ მიდგომის განხორციელების გზები. ESP და შესრულების მოთხოვნები მოიცავს კონკრეტულ დებულებებს, რომელთა ფარგლებშიც კლიენტებმა უნდა დაიცვან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნები საჯარო ინფორმაციისა და კონსულტაციების შესახებ; შექმნან გასაჩივრების მექანიზმი დაინტერესებული მხარეების მხრიდან კლიენტის ან პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ შესრულებასთან დაკავშირებული საჩივრების მიღების და მართვის მიზნით. პროექტის ეკოლოგიური და სოციალური რისკების ზემოქმედების ბუნებისა და მასშტაბის შესაბამისად, EBRD დამატებით მოითხოვს კლიენტებისაგან, რომ მათ, საჭიროებისამებრ, გამოაქვეყნონ ინფორმაცია პროექტების შედეგად წარმოქმნილი რისკების და ზემოქმედების შესახებ, ან ჩაატარონ არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილონ და რეაგირება მოახდინონ მიღებულ გამოხმაურებაზე.

დამატებითი ინფორმაცია ამ ჭრილში EBRD-ის საქმიანობასთან დაკავშირებით მოცემულია [ESP](#) -ში.

## ერთიანი მიდგომა და სტანდარტების დაცვა

EBRD-ის შესაბამისობის მთავარი ოფიცრის ოფისის (OCCO) საქმიანობის მიზანი კარგი მმართველობის და ბანკის საქმიანობის პროცესში პატიოსნების უმაღლესი სტანდარტების შესრულების ხელშეწყობაა საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ბანკის ყველა კლიენტის შემთხვევაში, ტარდება წინასწარი ტექნიკური კვლევა, რომლის მიზანიც იმაში დარწმუნებაა, რომ პროექტი არ წარმოადგენს რეპუტაციულ და პრინციპულ რისკს ბანკისთვის. ბანკი თვლის, რომ პროექტის შეფასების ეტაპზე პრობლემების იდენტიფიცირება და მოგვარება, ყველაზე ეფექტური საშუალებაა ბანკის ტრანზაქციებში პატიოსნების სტანდარტების დასაცავად. OCCO გადამწყვეტ როლს ასრულებს დამცავი ზომების გატარების პროცესში და, ასევე, მონაწილეობას იღებს პროექტებში ინვესტიციების განხორციელების შემდგომი რისკების მონიტორინგში.

OCCO, ასევე, პასუხისმგებელია თაღლითობის, კორუფციის და არასათანადო ქცევის შემთხვევების გამოძიების პროცესზე EBRD-ის მიერ დაფინანსებულ პროექტებში. ინდივიდმა, ბანკის შიგნით თუ მის გარეთ, რომელსაც გაუჩნდება ეჭვი თაღლითობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით, წერილობითი ანგარიში უნდა გაუზიაროს შესაბამისობის მთავარ ოფიცერს ელექტრონულ მისამართზე: [compliance@ebrd.com](mailto:compliance@ebrd.com). OCCO დაიწყებს მოკვლევას თითოეულ ანგარიშზე. განიხილება თითოეული, მათ შორის, ანონიმური წერილი. წერილი შეიძლება დაიწეროს EBRD-ის ნებისმიერ სამუშაო ენაზე ან იმ ქვეყნის ენაზე, სადაც EBRD საქმიანობს. ბანკისთვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს კეთილსინდისიერად.

## ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკა (AIP)

[ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის](#) დოკუმენტით, რომელიც ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს, განსაზღვრულია EBRD-ის მიერ ინფორმაციის გავრცელებისა და აქციონერებთან კონსულტაციების ისეთი გზები, რომლებიც ხელს შეუწყობს EBRD-ის შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ბანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ოპერაციების უკეთ გააზრებას. ეწვიეთ ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის გვერდს EBRD-ის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის სანახავად.

კონკრეტული ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია [EBRD-ის ინფორმაციის მოთხოვნის ფორმის](#) საშუალებით

## პროექტის გასაჩივრების მექანიზმი (PCM)

თუ გარემოს დაცვით, სოციალურ ან საჯაროდ გამოქვეყნების საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მცდელობა წარუმატებელია (მაგ., კლიენტის მიერ პროექტის ფარგლებში საჩივრების მექანიზმის საშუალებით ან ბანკის მენეჯმენტთან უშუალო კომუნიკაციის გზით), ინდივიდებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ EBRD-ის ანგარიშვალდებულების მექანიზმს.

პროექტის ანგარიშვალდებულების მექანიზმი დამოუკიდებლად განიხილავს პროექტის ირგვლივ წამოჭრილ იმ საკითხებს, რომლებმაც გამოიწვიეს (ან შესაძლოა გამოიწვიონ) ზიანი. მექანიზმის მიზანია - ხელი შეუწყოს დიალოგს პროექტის დაინტერესებულ მხარეებს შორის გარემოს დაცვის, სოციალური და საჯაროდ გამოქვეყნების საკითხების გადასაჭრელად; დაადგინოს შეასრულა თუ არა ბანკმა თავისივე [გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკა](#) ან [ინფორმაციაზე წვდომის პოლიტიკის](#) კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებული დებულებები; საჭიროების შემთხვევაში, გადაჭრას ხსენებული პოლიტიკის დოკუმენტებთან ნებისმიერი შეუსაბამობა და თავიდან აიცილოს ბანკის შემდგომი პოტენციური შეუსაბამობები.

იმის გასარკვევად, თუ როგორ უნდა შეიტანოთ საჩივარი [კონფიდენციალური ონლაინ ფორმის](#) საშუალებით, [ელ-ფოსტით](#), [ფოსტით ან ტელეფონით](#), ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს. ჩვენ განვიხილავთ თქვენ მიერ წამოჭრილ საკითხებს და ვუპასუხებთ შეკითხვებს, რომლებიც შეიძლება გქონდეთ საჩივრების შეტანის ან განკარგვის შესახებ. მოთხოვნის შემთხვევაში, მოსარჩლეების ვინაობის ანონიმურობა დაცული იქნება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ 2020 წელს, მექანიზმის ახალი ხელმძღვანელის დანიშვნის შემდეგ, ამოქმედდება [პროექტის ანგარიშვალდებულების განახლებული პოლიტიკა](#) და [სახელმძღვანელო პრინციპები](#), რომლებიც განსაზღვრავს საქმის წარმოების პროცესს.